



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამბერლენი იოსებ

კამბერლენი (Camberlan) იოსებ (1766, ანტვერპენი,- 1821, თბილისი), მოქანდაკე, არქიტექტორი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1809). სწავლობდა ანტვერპენის აკადემიაში, შემდეგ კი – პარიზში. 1798 დაბრუნდა სამშობლოში. 1805-იდან მოღვაწეობდა პეტერბურგში. 1816 დაინიშნა საქართვე. საგუბერნიო არქიტექტორად. 1817 კ-მა, რ-იც იყო ნიდერლანდების მოქალაქე, მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ძირითადად მოქანდაკედ მუშაობდა. მან სხვებთან ერთად მიიღო მონაწილეობა ბირჟის შენობისა და როსტრალური კოლონების სკულპტურულ გაფორმებაში (1805-10, არქიტ. ტომა დე ტომონი); შეადგინა სამხ. სკოლის ფრონტონის პროექტი პეტერბურგში (დაახლ. 20,0 მ × 4,5 მ). თბილისში ცნობილია მის მიერ შესრულებული ერთადერთი პროექტი – თეკლა ბატონიშვილის სახლი. პროექტი (ორი ფასადი) დათარიღებულია 1819 წ. 27 მარტით (ძვ. სტილით). დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; Русский биографический словарь, СПб., 1897.

თ. გერსამია
